2015

ეროვნული ოლიმპიადა

ფიზიკაში

საქართველოს განათლების
და მეცნიერების
სამინისტრო

ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტი საქართველოში

22-24.04.2015

გამომცემელი: ჟიული შარტავას სახელმწიფო
პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

საქართველოში ბელარუსის პრეზიდენტი ჩამოფრინდა

საქართველოში ბელარუსის პრეზიდენტი ჩამოფრინდა. ბელარუსის პრეზიდენტს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში საქართველოს ვიცე-პრემიერი, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახა კალაძე, საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით პატარაია და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბელარუსში დავით კორტია დახვდნენ.

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო საქართველოს სახელმწიფო დელეგაციასა და ათი წლის შვილთან ერთად ეწვია.

,,დღეს იწყება ბელარუსის პრეზიდნეტის ვიზიტი საქართველოში. ეს არის ძალინ მასშტაბური ვიზიტი. ეს ბელარუსის პრეზიდენტის პირველი ვიზიტია საქართველოში. ჩვენ ვაფასებთ ბელარუსის თანადგომას საქართველოს მიმართ ტერიტორიული მთლიანობისა და არაღიარების პოლიტიკის თვალსაზრისით. რაც შეეხება უშუალოდ ვიზიტს, ბელორუსის სახელმწიფოსთან ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობები გვაქვს. ჩვენი ქვეყნების მთავრობებს შორის გაფორმდება მრავალი შეთანხმება, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოსა და ბელარუსს შორის ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების უფრო მაღალ დონეზე აყვანას“ - განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა დავით პატარაიამ.

ბელარუსის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, მრეწველობის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები.

საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში ბელარუსის პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა

საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრე ლუკაშენკოს დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ბელარუს კოლეგას

მასპინძლობას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უწევდა.

ოფიციალურ ცერემონიაზე ბელარუსის რესპუბლიკისა და საქართველოს სახელმწიფო ჰიმნები შესრულდა, რის შემდეგაც პრეზიდენტებმა საქართველოს სახელმწიფო დროშას პატივი მიაგეს და წითელ ხალიჩასთან განლაგებულ საპატიო ყარაულის მწკრივს ჩაუარეს.

დახვედრის ოფიციალური ცერემონიის ფარგლებში მოხდა ბელარუსის რესპუბლიკის და საქართველოს სახელმწიფო დელეგაციების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების გაცნობა. სახელმწიფო ჰიმნები საქართველოს შეიარაღებული ძალების ორკესტრმა შეასრულა.

საქართველოში აკრედიტირებულ ელჩებთან ერთად, დახვედრის ოფიციალურ ცერემონიას საქართველოს მთავრობის წევრები და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები დაესწრნენ: საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით პატარაია, უშიშროების საბჭოს მდივანი ირინე იმერლიშვილი, საქართველოს ელჩი ბელარუსში დავით კოტარია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე გიორგი აბაშიშვილი და პრეზიდენტის მრჩეველი

საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძე.

ხოლო ბელარუსის სახელმწიფო დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ: ბელარუსის ვიცე-პრემიერი მიხაილ რუსი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვლადიმერ მაკეი, შინაგან საქმეთა მინისტრი იგორ შუნევიჩი, საოფლის მეურნეობის მინისტრი ლეონიდ ზაეცი, განათლების მინისტრი მიხაილ ჟურაკოვი და მრეწველობის მინისტრი ვიტალი ვოვკი.

დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ პრეზიდენტები ერთმანეთს პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში შეხვდებიან.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბელარუს კოლეგას ალექ-სანდრე ლუკაშენკოსთან ჯერ პირისპირ, შემდეგ კი გაფართოებული შეხვედრა გამარ-თა. პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრამ პროტოკოლით გათვალისწინებულ დროს გადააჭარბა.

შეხვედრისას მხარეებმა ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობა განიხილეს, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებს.

საუბრის მთავარი თემა რეგიონალური უსაფრთხოების საკითხები იყო. მხარეებმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ საგანგაშო ვითარებასა და არსებულ

საფრთხეებზე იმსჯელეს. საქართველოს პრეზიდენტმა ბელარუს კოლეგას მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის. საუბარი ასევე შეეხო უკრაინაში შექმნილ მდგომარეობას.

შეხვედრისას ხაზგასმით აღინიშნა საქართველოში ბელარუსის პრეზიდენტის პირველი სახელმწიფო ვიზიტის მნიშვნელობა. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ეს ვიზიტი ქვეყნებს შორის არსებულ ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებს.

გაფართოებული ფორმატით შეხვედრას საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის წევრებიც დაესწრნენ.



გიორგი მარგველაშვილმა და ალექსანდრე ლუკაშენკომ ერთობლივ განცხადებას ხელი მოაწერეს

საქართველოსა და ბელარუსის პრეზიდენტებმა ერთობლივ განცხადებასა, ავლაბრის რეზიდენციაში პრესკონფერენციის დაწყებამდე მოაწერეს ხელი.

განცხადებაში ბელარუსისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრის დროს მიღწეულ შეთანხმებებზეა საუბარი, მათ შორის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, მხარეები სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში სუვერენიტეტის, მთლიანობის, საზღვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის, ძალის გამოყენების და ძალით დამუქრების მიუღებლობა დაადასტურეს.

ასევე, მხარეებმა ხაზი გაუსვეს თანამშრომლობის გაფართოებას სხვადასხვა სფეროში. ორი ქვეყნის პრეზიდენტების ერთობლივი განცხადება სულ 15 პუნქტიანია, შედგენილია ორ თანაბარუფლებიან ეგზემპლარად რუსულ და ქართულ ენაზე.

ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა (შემდეგში - მხარეები) გახსნილობის, ურთიერთგაგებისა და ნდობის ატმოსფეროში გაუზიარეს ერთმანეთს მოსაზრებები აქტუალური საერთაშორისო და რეგიონალური პრობლემების შესახებ და განიხილეს საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკის ურთიერთობის პერსპექტივის ფართო სპექტრი.

ისწრაფვიან რა ორ ქვეყანას შორის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისკენ, ვიზიის დროს მიღწეულ შეთანხმებებზე დაყრდნობით,

მხარეებმა განაცხადეს:

1. ქართულ-ბელარუსული ურთიერთობის განვითარების ხასიათი შეესაბამება საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკის ინტერესებს.

2. მხარეები აწარმოებენ დიალოგს ყველა დონეზე, განავითარებენ ურთიერთკავშირს პარლამენტებსა და სამინისტროებს შორის, შეუწყობენ ხელს ორმხრივ შეთანხმებებსა და სამართლებრივი ბაზის გაფართოებას, ხელსაყრელი პირობების შექმნას კონტაქტებისთვის საქმიან, სამეცნიერო, კულტურულ,

სპორტულ და სხვა სფეროებისთვის.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა დოკუმენტებს ორმხრივი ურთიერთობისათვის იურიდიული ბაზის შესაქმნელად ტურიზმის, ჯანდაცვის, განათლების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის, გადასახადების გადახდის, დანაშაულთან ბრძოლის, სასაზღვრო სამსახურებისა და სხვა სფეროებში.

3. მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აქვთ ერთნაირი დამოკიდებულება საერთაშორისო და რეგიონალური პრობლემების მიმართ და ადასტურებენ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ერთგულებას. ემხრობიან გაეროს როლის გამყარებას თანამედროვე გამოწვევის - მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებისა და ამ მიზნით წინააღმდეგობის გაწევის საქმეში.

მხარეები ადასტურებენ სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ხელშეუხებლობის პატივისცემას, ძალის გამოყენებისა და ძალის გამოყენების მუქარის მიუღებლობას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში.

4. მხარეები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას საერთაშორისო უნივერსალური და რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებში, მათ შორის, ძალების კოორდინაციას საერთაშორისო ტერორიზმთან, ტრანსეროვნულ ორგანიზებულ და-

ნაშაულთან, ნარკოტიკების არაკანონიერ მიმოქცევასთან, ადამიანით ვაჭრობასა და თანამედროვე მსოფლიოს სხვა გამოწვევებთან და საშიშროებებთან ბრძოლაში.

5. მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ განაგრძობენ ინიციატივებისა და კანდიდატურების ურთიერთმხარდაჭერას საერთაშორისო ასპარეზზე.

6. მხარეები დადებითად აფასებენ საქართველოსა და ბელარუსიის რესპუბლიკის მთავრობათა შორის არსებული ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებში კომისიის საქმიანობას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისთვის.

7. მხარეები ხაზგასმით აღნიშნავენ ორი ქვეყნის საქმიანობის სუბიექტებს შორის კონტაქტების აქტივიზაციის აუცილებლობას და აცხადებენ, რომ შექმნიან ხელსაყრელ პირობებს სავაჭრო-სამრეწველო კავშირების განვითარებისთვის სახელმწიფოს სხვადასხვა სფეროების გამოყენებით.

8. მხარეები მხარს უჭერენ სამრეწველო კოოპერაციის გაღრმავებას ქართული ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მესამე ქვეყნებში ექსპორტის გასაფართოებლად.

9. მხარეები დაინტერესებული არიან ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებაში ქვეყნების დარგობრივ სამინისტროებს შორის, პირდაპირი კონტაქტების გააქტიურებაში საშუალო და მცირე ბიზნესის

წარმომადგენლებს შორის, ბელარუსის რესპუ-ბლიკის ტერიტორიაზე საერთო პროექტების განსახორციელებლად ინფრასტრუქტურის შექმნაში ქართული ხილ-ბოსტნეულისა და ღვინის ექსპორტის გაზრდისთვის ბელარუსიის რესპუბლიკისა და მესამე ქვეყნების ბაზრებზე.

10. მხარეები აღნიშნავენ, რომ აუცილე-ბელია ორი ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის აქტიურად გამოყენება ტრანსპორტისა და ლო-ჯისტიკის სფეროებში საერთო პროექტების რეალიზაციით, საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნების შექმნაში ჩაბმით.

11. მხარეები აღნიშნავენ, რომ ორივე ქვეყნის მეცნიერულ-ინოვაციური პროგრესის ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია მომზადდეს და განხორციელდეს საქართ-

ველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ბელარუსიის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო პროექტები.

12. მხარეები შეუწყობენ ხელს თანამშრომლობას განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ინფორმაციის, ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროებში.

13. მხარეები მხარს უჭერენ რეგიონებს შორის კავშირს, როგორც ორმხრივი ურთიერთობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. აღნიშნავენ დელეგაციების ორმხრივი ვიზიტების მნიშვნელობას, გამოფენა-გაყიდვებისა და კულტურული ღონისძიებების მოწყობის აუცილებლობას.

14. მხარეები დარწმუნებული არიან, რომ ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი გახდება პირველი ისტორიული, მძლავრი იმპულსი პოლიტიკური დიალოგის, სავაჭრო-ეკონომიკური და რეგიონებს შორის ურთიერთობის განვითარებისთვის, ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას.

15. მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციას საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისთვის.

პრემიერ-მინისტრის პირისპირ შეხვედრა ბელარუსის პრეზიდენტთან

საქართველო-ბელარუსის ურთიერთობები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისა და ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს შეხვედრის მთავარი თემა.

პირისპირ შეხვედრაზე, რომელიც მთავ-
რობის ადმინისტრაციაში, ორ ქვეყანას შორის
საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმო-
წერის ცერემონიის შემდეგ გაიმართა, ხაზგა-
სმით აღინიშნა საქართველოში ალექსანდრე
ლუკაშენკოს ვიზიტის მნიშვნელობა.

პრემიერ-მინისტრმა ბელარუსის პრე-
ზიდენტს საქართველოს ტერიტორიული
მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭე-
რისთვის მადლობა გადაუხადა და ორი ქვეყნის
ურთიერთობის გაღრმავების იმედი გამოთქვა.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს საქართველო-
ბელარუსის ეკონომიკური თანამშრო
მლობის პერსპექტივებზე. ხაზი გაესვა საქარ-
თველოში ბელარუს ბიზნესმენთა დელეგაციისა

და საქართველო-ბელარუსის ბიზნესფორუმის ჩატარების მნიშვნელობას, რომელიც ბიზნესებს შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარებას შეუწყობს ხელს.

ხელშეწერის ცერემონია

საერთაშორისო შეთანხმებები ორ ქვეყანას შორის, ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა.

დოკუმენტებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, ეკონომიკის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, განათლებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებმა და მათმა ბელარუსმა კოლეგებმა მოაწერეს ხელი.

ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო დაესწრნენ.

ხელმოწერილია 10-ზე მეტი შეთანხმება, რომელიც საქართველო-ბელარუსის სამთავრობო უწყებების მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს. მათ შორის არის თანამშრომლობა ორი ქვეყნის საგარეო უწყებებს შორის, დანაშაულთან ბრძოლის სფეროში, საბაჟო საკითხებში, ჯანდაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში, ასევე, ურთიერთგაგების მემორანდუმი იუსტიციის სამინისტროებს შორის.

ბელარუსის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილი ბელარუსში მიიწვია

ბელარუსის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილი ბელარუსში მიიწვია-საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოს და ბელარუსის სამთავრობო დელეგაციის წევრებს ოფიციალურ სადილზე უმასპინძლა. საქართველოს მთავრობის მეთაურმა ალექსანდრე ლუკაშენკოს მადლობა გადაუხადა ვიზიტისთვის და ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავების იმედი გამოთქვა.

ოფიციალური სადილის დაწყებამდე, სტუმრებმა რამდენიმე სახეობის ქართული ღვინო დააგემოვნეს და ქართული ღვინის ისტორიის შესახებ ინფორმაცია მოისმინეს.

ბელარუსის პრეზიდენტის შეხვედრა საქართველოს პატრიარქთან

საქართველოში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო 10 წლის შვილთან, ნიკოლაი ლუკაშენკოსთან ერთად საპატრიარქოში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს შეხვდა.

როგორც ილია მეორემ აღნიშნა, ალექსანდრე ლუკაშენკოს ვიზიტი საქართველოში ძალიან მნიშვნლეოვანია. «თქვენ შეგიძლიათ გაუზიაროთ თქვენი გამოცდილება ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას. ჩვენ კარგად ვიცნობთ ბელორუსიას, თქვენი ქვეყნის ისტორიას და იმ მიღწევებს, რომელსაც თქვენმა ქვეყანამ მიაღწია. ჩვენ ღრმად ვაცნობიერებთ

თქვენი ვიზიტის მნიშვნელობას და იმედია, ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხების ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გამყარებას, ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის. ჩვენ ვცხოვრობთ რთულ პერიოდში და ჩვენმა მართლმადიდებელმა ხალხმა უნდა შეინარჩუნოს თავიანთი კულტურა, რწმენა და ტრადიციები და მომავალ თაობებს გადასცეს ეს ყველაფერი», - ბრძანა ილია მეორემ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ოკუპირებულ ტერიტორიებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ახლა რთულ პერიოდშია. «ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, აფხაზეთი და ცხინვალი ეს გახსნილი იარებია საქართველოს სხეულზე და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანის გულზე. ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს, რადგან შეუძლებელია ამის გარეშე იყოს ნორმალური ურთიერთობები ხალხსა და სახელმწიფოს, ჩვენსა და რუსეთს შორის. მე ვფიქრობ თქვენი ვიზიტი არის მშვიდობის მომასწავებელი, რომელიც მოგვიტანს დადებით შედეგებს. ვისურვებდი, რომ ეს ვიზიტი იყოს ჩვენი ხალხების მჭიდრო ურთიერთობებისა და მეგობრობის საწინდარი», - განაცხადა ილია მეორემ.

ბელარუსის პრეზიდენტმა საქართველოში თავის ვიზიტზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ქართველი და ბელარუსი ხალხი ძალიან ახლოს არის ერთმანეთთან. «ჩვენი ერები

ყოველთვის ახლოს იყვნენ და ის ტკვილი, რომელიც თქვენ ახსენეთ ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, ჩვენთანაც ახლოს არის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ქართველმა ხალხმა მალე გადაფურცლოს თანამედროვე ისტორიის ეს სამწუხარო ფურცლები. ჩვენ ჭკვიანი ხალხი ვართ და მომავალისკენ უნდა ვიყურებოდეთ», - განაცხდა ალექსანდრე ლუკაშენკომ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და ალექსანდრე ლუკაშენკომ ერთმანეთს საჩუქრები გადასცეს. დღეს ასევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად ალექსანდრე ლუკაშენკომ და ბელარუსის სახელმწიფო დელეგაციამ სამების საკათედრო ტაძარი მოილოცეს.



საქართველოსა და ბელარუსის რესპუბ-ლიკის პრეზიდენტების ერთობლივი პრესკონფერენცია

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**:

ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო სტუმრებო, ბატონებო და ქალბატონებო!

მოხარული ვარ, რომ მაქვს შესაძლებლობა ვუმასპინძლო ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ალექსანდრე ლუკაშენკოს. ჩვენ გვქონდა შეხვედრა, სადაც დეტალურად გავიარეთ, ორ ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებისა და ჩვენი ურთიერთობების გაფართოების საკითხები.

მინდა ხაზი გავუსვა , რომ ეს არის ბელარუ-სის პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში, რაც ბუნებრივია მნიშვნელოვან საფუძველს დაუდებს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას და ჩვენი თანამშრომლობის გაფართოებას. აქვე ხაზგასასმელია, რომ ამ წარმომადგენლობით ვიზიტს თან სდევდა ძალიან წარმომადგენლობითი ბიზნეს ფო-რუმი, რომელიც ჩვენი ქვეყნების ეკონო-მიკას, ჩვენი ქვეყნების ბიზნეს სექტორს მისცემს ახალ იმპულსს, მისცემს ახალ შესაძლებლობებს და მოგვცემს შესაძლებლობას ჩვენი ურთიერთობები გავაღრმავოთ და

გავაფართოვოთ ეკონომიკური თანამშრომლობის მთელ რიგ საკითხებში. სულისკვეთება, რომელიც თან ახლდა ჩვენს შეხვედრებს ამ მიმართულებით, ხაზგასასმელია რადგან, მიუხედავად იმისა რომ საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობა ღრმავდება ევროკავშირთან, ხოლო ბელარუსიის ეკონომიკური ურთიერთობების კავშირები საბაჟო კავშირის მიმართულებით. ჩვენ ღრამად გვწამს , რომ ამ განვითარებამ კი არ უნდა შეზღუდოს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები, არამედ პირიქით ახალი პოტენციალი უნდა მისცეს, როგორც საქართველოს ასევე ბელარუსის ეკონომიკას.

ბატონი პრეზიდენტის ვიზიტის დროს, ჩვენ ხაზგასმით გამოვხატეთ ის მადლიერება, რომელსაც ქართული სახელმწიფო და საქართველოს საზოგადოება გრძნობს ბელარუსი ხალხის მიმართ და პირადად ბატონი ალექსანდრე ლუკაშენკოს მიმართ იმ მხარდაჭერისთვის რაც ჩვენ ვნახეთ საქართველოს ურთულეს საკითხებთან მიმართებაში. ძალიან რთულ ვითარებაში ჩვენი ბელარუსი მეგობრები ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად მხარს უჭერდნენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და ამისათვის ჩვენ მადლობა გადავუხადეთ, როგორც ბატონ პრეზიდენტს ასევე მთელ ბელარუს ხალხს. ხაზგასასმელია ის უმნიშვნელოვანესი როლიც, რომელსაც ჩვენი ბელარუსი მეგობრები თამაშობენ ჩვენი ერთიანი

საარსებო სივრცის პრობლემების მშვიდოაბიანი გადაჭრების მიმართულებით, მინსკი გახდა ის ქალაქი, სადაც რეალურად ხდება შეთანხმებები, მშვიდობის, რეგიონის სტაბილურობის და მისი მდგრადობის გადასაწყვეტად. ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, ჩვენ შევეხეთ უკრაინის პრობლემას და იმ პოზიტიურ იმპულსს, რაც მინსკმა ამ თვალსაზრისით შექმნა და მისცა, როგორც უკრაინელ ხალხს ასევე მთელს რეგიონს.

დასასრულს, მე კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ ალექსანდრე ლუკაშენკოს, ბელარუსის სახელმწიფო დელეგაციას ჩამობრძანებისათვის და გამოვხატო მტკიცე რწმენა, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი ძალიან აქტიური და ეფექტური თანამშრომლობის.

დიდი მადლობა ბატონო პრეზიდენტო.

ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო

„პატივცემულო მეგობრებო!

დღეს, პირველად უახლეს ისტორიაში და ჩვენი ურთიერთობის განმავლობაში თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაში ჩატარდა ბელარუსისა და საქართველოს ოფიციალური მოლაპარაკება. ბელარუსის რესპუბლიკა ყოველთვის მიიჩნევს საქართველოს ახლო და მეგობარ ქვეყანად. ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარება ორივე ქვეყნისათვის სასარგებლოა.

საქართველო არის ჩვენი პოტენციური, პერსპექტიული პარტნიორი სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში მთელ კავკასიაში. 2014 წელს ტვირთბრუნვა ჩვენს ქვეყნებს

შორის საკმაოდ დაბალი იყო და 65 მილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა, 2013 წლის შედეგი შენარჩუნდა. რა თქმა უნდა, ეს არ არის ის ციფრი, რომელიც ჩვენ გვჭირდება და სწორედ ამიტომ, ოფიციალური მოლაპარაკების დროს, ჩვენ დიდი ყურადღება დავუთმეთ სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებას ჩვენს ქვეყნებს შორის. თქვენ იცით, რომ ჩატარდა ძალიან ფართომასშტაბიანი ბიზნესფორუმი. ჩვენთან ერთად იყო დელეგაცია და 50 უმსხვილესი ბელარუსული კომპანიის წარმომადგენელი. ბიზნესფორუმის ფარგლებში საქართველოდან დაახლოებით 200 კომპანიამდე მონაწილეობდა. ვიცე-პრემიერმა ახლახანს მაცნობა, რომ ამ ორი ბიზნესფორუმის შედეგად დაახლოებით 200 მილიონი დოლარის ტვირთბრუნვას მოველით. არის მისწრაფება, არის გარკვეული კონტრაქტები, რომლებიც გაფორმდა სავაჭრო ურთიერთობის კონტექსტში ჩვენს ქვეყნებს შორის.

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა გვქონოდა ასეთი შეხვედრა იმ ტვირთბრუნვის, რომელიც დღსდღეობით არსებობს ჩვენ შორის, გაცილებით გაზრდის მიზნით. ასევე ნიშანდობლივია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გავიდა დსთ-ის ქვეყნებიდან, ბელარუსსა და საქართველოს შორის ისევ არის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი და ჩვენ არასოდეს გვიღალატია

თქვენთვის ურთულეს სიტუაციებშიც კი. ჩვენ მაქსიმალურად ეფექტიანად უნდა განვავითაროთ ბელარუსის ურთიერთობა საბაჟო კავშირთან. გონიერი ადამიანები ყოველთვის მოძებნიან თანამშრომლობის ფორმას ურთულეს პერიოდშიც კი. ასეთი პერიოდი და კატასტროფები არ გვაქვს დღესდღეობით, ამიტომ მაქსიმალურად უნდა დავარეგულიროთ სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობა.

ჩვენ ასევე შევთანხმდით საწარმოო თანამშრომლობაზე, რომელიც იქნება ერთ-ერთი ყველაზე საფუძვლიანი; ანუ უბრალოდ ვაჭრობა არ არის საკმარისი, არამედ ერთობლივი საწარმოების შექმნა, რომლებიც შეიძლება იყოს საქართველოს ან ბელარუსის ტერიტორიაზე, ვაწარმოოთ საჭირო პროდუქცია და შემდეგ გავყიდოთ ის მთელ მსოფლიოში, ეს, მართალია, უფრო ძნელი მისაღწევია, მაგრამ, იმავდროულად, რეალურია.

ჩვენ ვისაუბრეთ სხვადასხვა ტექნიკის პროექტებზე. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა მოდიფიკაციის ტრაქტორები. მოდით, ჯერ აქედან დავიწყოთ. დარწმუნებული ვარ, რომ წელს, მომავალ წელს ჩვენ შევძლებთ ამ პროექტების განხორციელებას.

ჩვენ მზად ვართ უზრუნველვყოთ საქართველო, ვუპასუხოთ ჩვენი ქართველი პარტნიორების მოთხოვნებს ტექნიკასთან, ტრანსპორტთან, სამედიცინო პრეპარატებთან,

საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით.

სამთავრობო დონეზე შევთანხმდით, რომ დამუშავდება კონკრეტული პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენს სავაჭრო და ეკონომიკურ პოტენციალს.

რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ ურთიერთობას, მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ კონსტრუქციული ურთიერთობა გვაქვს - ეს შეიძლება იყოს ეუთო, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი; გარდა ამისა, ვმუშაობთ პარლამენტებს შორის დიალოგის აქტივაციისათვის, პარლამენტარების მომზადებასა და ბელარუსისა და საქართველოს ერთობლივი მუშაობის სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე.

ჩვენი შეხვედრის ფარგლებში ასევე

ვისაუბრეთ საქართველოში ბელარუსის დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნის შესახებ. როგორც ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი შეთანხმებებისა და მიზნების განხორციელებისათვის.

ჩვენ, მინდა გითხრათ, რომ გვაქვს ასეთ ვითარებაში ბევრ ქვეყანასთან თანამშრომლობის ძალიან დიდი გამოცდილება და ორ წელიწადში ჩვენ შევძელით ამ პროექტების განხორციელება. ბატონო პრეზიდენტო, მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენი მთავრობები ეფექტიანად ითანამშრომლებენ და ჩვენი შეთანხმებები განხორციელდება, მერწმუნეთ, ბელარუსის კონტრიბუცია ეჭვგარეშე იქნება. ჩვენ გვინდა ამის გაკეთება, ჩვენი წვლილი იქნება ძალიან დიდი. ამის გაკეთება გვსურს არა მხოლოდ როგორც უბრალოდ ახლო, კეთილი მეგობრებისთვის, არამედ ჩვენი ძმებისთვის. ჩვენ ვცხოვრობდით ერთ სახლში. ბელარუსებს კარგად გვახსოვს ეს.

პრეზიდენტმა უამრავი საკითხი წამომიყენა ჩვენი გამოცდილების გაზიარების მიზნით. მე პირობა მივეცი, რომ ჩვენ შეგვიძლია გავუზიაროთ საქართველოს სპეციალისტებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნის გამოცდილება; მე მხედველობაში მაქვს არა უბრალოდ ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ასეთი ტიპის კოოპერატივებში მიწა არის კერძო საკუთრებაში და ჩვენ გვინდა გაჩვენოთ და გაგიზიაროთ, რომ ეს არ არის დაბრკოლება,

რომ გლეხებს შეუძლიათ გაერთიანება ფარ-თომასშტაბიან კოოპერატივებში და ეს უფრო ეფექტიანი იქნება ვაჭრობის, უსაფრთხოების, სოფლის მეურნეობის, კვების პროდუქტების სფეროში. საქართველომ შესაძლოა გადაჭრას ეს პრობლემა, როგორც ჩვენ გადავჭერით იგი თავის დროზე. ამ ეტაპით დაწყებული და ერთობლივი წარმოებებით დამთავრებული, ეს შეიძლება იყოს საქართველოსათვის აუცილებელი ტექნიკის წარმოება, ჩვენ, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ გადმოგცემთ გამოცდილებას, როგორც ჩვენს უახლოეს მეგობრებსა და ძმებს.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, ბატონო პრეზიდენტო, საერთოდ მთელ ქართველ ერს ამ სტუმართმოყვარეობისათვის, მასპინძლობისა და სიკეთისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ბელარუსის დელეგაციისა და ჩემ მიმართ.

დიდი მადლობა. ჩვენ პასუხისმგებელი ადამიანები ვართ და თქვენს კეთილგანწყობას აუცილებლად სიკეთით ვუპასუხებთ მომავალში.“

ტატიანა პალეჟაი ბელორუსიის ტელეგრაფიის სააგენტო:

თქვენ ახლა თქვით, რომ ბელარუსის რესპუბლიკა არის ევრაზიის საბაჟო კავშირის წევრი, საქართველო კი ახდენს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რეალიზაციის;

ხომ არ იქნება ეს დაბრკოლება ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების უფრო სერიოზულად გაღრმავებისათვის? მადლობა!

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი:**

დიახ, ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ახალი კავშირები არის ახალი შესაძლებლობები და არა ახალი ბარიერები და ჩვენ მივისწრაფვით ამისკენ; ეს სწრაფვა მკვეთრად გამოიხატა როგორც ჩვენი პირადი შეხვედრების დროს, ისე სამთავრობო და ბიზნესის დონეზე.

საქართველო დიდი ინტერესით აკვირდება ამ შესაძლებლობას არა მხოლოდ სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის, არამედ, როგორც ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, იმ შესაძლებლობის თვალსაზრისითაც, რომელიც უნდა მივიღოთ იმ ქვეყნისაგან, რომლის ადგილობრივი ბაზრის 80% ბელარუსში წარმოებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციას უკავია;სამწუხაროდ,საქართველოშიესციფრები პირიქით არის; ჩვენ გვინდა შევცვალოთ ეს პრაქტიკა, არანაირი პრობლემა ან დაბრკოლება ამ თანამშრომლობისათვის არ არსებობს. გარდა ამისა, არსებობს შესაძლებლობები, რომლებსაც საქართველო სთავაზობს ბელარუსს.

საქართველოში ინვესტიცია ნიშნავს ინვეს-ტიციას ისეთ ქვეყანაში, რომელსაც აქვს ძალიან დაბალი გადასახადები, კორუფციის დაბალი

დონე, მაღალი რეიტინგი ბიზნესის დაწყების კუთხით; საქართველოში არის ძალიან დიდი შესაძლებლობა ევროპასთან ვაჭრობის თვალსაზრისით, და ამ ყველაფერს ჩვენ ვხსნით ბელარუსისათვის და ჩვენ ვხედავთ, რომ ბელორუსიც იმავე მიმართულებით გვიღებს კარს; ასე რომ, ამ კავშირებს ჩვენ აღვიქვამთ როგორც დამატებით შესაძლებლობას, როგორც ახალ პოტენციურ ბაზარს და ბიზნესის ინვესტირების ახალ საშუალებას.

ბუნებრივია, ყველაზე მეტად საინტერესო სფერო ჩვენთვის, როგორც მე უკვე აღვნიშნე, არის ის, რომ გავიზიაროთ გამოცდილება, თუ როგორ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყანა სასოფლო-სამეურნეო წარმოებით, ჩვენთვის ეს არის ძალიან საინტერესო.

ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო:

პრეზიდენტმა ძალიან ძლიერი ფრაზა წარ-მოთქვა: „ახალი კავშირები არის ახალი შესაძლე-ბლობები“ და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ჩვენ მართლაც გვაქვს კონკრეტული ვალდებულება ევრაზიული საბაჟო კავშირის ფარგლებში, ბუნებრივია, საქართველოს აქვს უპირატესობა დავალდებულება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში, ჩვენ გვაქვს ასეთი ვალდებულებები, მაგრამ ისინი არანაირად არ ეწინააღმდეგება ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობას. ამ ორ გიგანტურ გაერთიანებას გარკვეული მოუქნელობის

გამო შესაძლოა უფრო ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდეთ იმისათვის, რომ შეთანხმებას მიაღწიონ, მაგრამ ამ კავშირებში შემავალ ორ ქვეყანას შორის ეს მარტივია.

და სწორედ ახლა ვახსენე, რომ შესაბამისი კავშირების მიმართ აღებული ჩვენი და საქართველოს ვალდებულებების გათვალისწინებით, გუშინ ჩვენი მთავრობები ბიზნესმენების მონაწილეობით, შეთანხმდნენ დაახლოებით 200 მილიონი დოლარის ოდენობის პერსპექტივაზე. ბელარუსმა და საქართველომ გავითვალისწინეთ ჩვენი ვალდებულებები, მაგრამ ამან ხელი არ შეგვიშალა იმაში, რომ აგვეგო ამგვარი ორიენტირები ასეთი ციფრის პერსპექტივით. აქ არანაირი დაბრკოლება არ შეიძლება იყოს, ჩვენ ვართ გონიერი ერები, გონიერი ადამიანები და გონიერი სახელმწიფოები; ჩვენ მოვძებნით თანამშრომლობის სქემებსა და ვარიანტებს ისე, რომ ჩვენს პარტნიორებს ევროკავშირსა თუ საბაჟო კავშირში ჩვენ მიმართ არანაირი პრეტენზია არ ჰქონდეთ. ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი:

ჩვენ გვაქვს კითხვა ბელარუსის პრეზიდენტთან: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ უარი თქვით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე და დღემდე ინარ-

ჩუნებთ ამ პოზიციას, ამასობაში კი რუსეთმა არათუ უკან წაიღო საკუთარი გადაწყვეტილება, არამედ გააფორმა ე.წ. ინტეგრაციის შეთანხმება ორივე ოკუპირებულ რეგიონთან, ამ ახალი რეალობიდან გამომდინარე, დარჩება თუ არა თქვენი პოზიცია უცვლელი არაღიარებასთან დაკავშირებით?

ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო:

პირველ რიგში, ჩემ წინაშე არავის არანაირი ახალი პრობლემა არ წამოუჭრია და მხოლოდ თქვენ საუბრობთ ამაზე ასეთ კონტექსტში. პრეზიდენტმაც ბრძანა, რომ მთელი ამ გაურკვევლობის, ომის და, შეიძლება ითქვას, საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის შემდეგ, ალბათ საჭირო იყო ცოტა უფრო რბილად აგეგოთ ურთიერთობა და არ გადაგედგათ ნაბიჯები, რომლის შესახებაც თქვენ ახლა ბრძანეთ. შესაძლებელია! თუმცა მე და პრეზიდენტი ვართ რეალისტები და ჩვენ გადავწყვიტეთ: მოდით გავავლოთ ზღვარი და ვნახოთ, ხვალ რა იქნება, რა ნაბიჯები შეიძლება გადავდგათ იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს, ბელორუსს და ამავდროულად რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობის ნორმალიზება; ვფიქრობ, უახლოეს მომავალში, სულ მცირე, მოვძებნით თუნდაც ერთ პასუხს კითხვაზე, თუ რა ნაბიჯი უნდა გადაიდგას იმისათვის,რომარამარტოშეწყდესესრიტორიკა,

არამედ იმისათვის, რომ რამენაირად მოხდეს სახელმწიფოების პოზიციების დაახლოება და ვიცხოვროთ ერთ ოჯახში (როგორც ერთ დროს), ვინაიდან ბელარუს, ქართველ და რუს ხალხს შორის არ არსებობს წინააღმდეგობა. მაღალ პოლიტიკურ დონეზე არსებული წინააღმდეგობების დაძლევა შესაძლებელია, მაგრამ საჭიროა უფრო კონკრეტული ამოცანების დასახვა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, ამაზე ჩვენ ვისაუბრეთ... ჯერ არ მაქვს პრეზიდენტის ისეთი უფლებამოსილება, რომ გაგიმხილოთ ამ შეთანხმების თაობაზე, მაგრამ უახლოეს მომავალში თქვენ შეიტყობთ ამის შესახებ. ჩვენი პოზიცია იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც თქვენ წამოჭერით, იქნება უცვლელი. სხვა შემთხვევაში მე აქ არ ჩამოვიდოდი.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი:

მადლობა ამ პოზიციისათვის!

ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო:

მადლობა, მე ვფიქრობ ჩვენ დავაკ-მაყოფილეთ ჟურნალისტების ცნობის-მოყვარეობა.

სახელმწიფო სადილი

ბელარუსიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს და ქართველ ხალხს ბელარუსიის დელეგაციისთვის გაწეული თბილი მიღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის და საქართველოს პრეზიდენტი მიიწვია სახელმწიფო ვიზიტით მისთვის ხელსაყრელ დროს. ეს მიწვევა საქართველოს პრეზიდენტმა მადლიერებით მიიღო.

დღის ბოლოს ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად საქართველოს

პრეზიდენტის სასახლეში სახელმწიფო სადილი გაიმართა.

გიორგი მარგველაშვილმა და ალექსანდრე ლუკაშენკომ ორი ქვეყნის მეგობრობის სადღეგრძელო შესვეს და ხალხთა შორის მეგობრობაზე ისაუბრეს.

სახელმწიფო სადილს საქართველოს და ბელარუსის რესპუბლიკის დელეგაციებიც დაესწრნენ. შესრულდა საქართველოს და ბელარუსის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ბელარუსის პრეზიდენტი ბათუმს ეწვია

ბელარუსის პრეზიდენტი საქართველოში სახელმწიფო ვიზიტის ფარგლებში ქალაქ ბათუმსაც ეწვია. ალექსანდრე ლუკაშენკოს ბათუმის აეროპორტში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე და მინისტრები, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია და ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი დავით კოტარია დახვდნენ.

აეროპორტში დახვედრის შემდეგ ოფიციალური შეხვედრა გაიმართა აჭარის მთავრობის ადმინისტრაციულ შენობაში. არჩილ ხაბაძემ ბელარუსის პრეზიდენტს რეგიონის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალი გააცნო. ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ბელარუსი

აჭარიდან ციტრუსის რეალიზაციისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს. აქტიურად მიდის მუშაობა საინვესტიციო მიმართულებითაც. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიმდინარე წლის მაისის თვეში ჩატარდება საინვესტიციო ტური ბელარუსში.

ქალაქ ბათუმს საქართველოს პრეზიდენტიც ეწვია და ბელარუს კოლეგას ვიზიტის ბოლოს კიდევ ერთხელ პირისპირ არაფორმალურ გარემოში შეხვდა.

ბელარუსის პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში ქალაქების ბათუმისა და ბრესტის დამეგობრობის ხელშეკრულებაც გაფორმდა. ღონისძიებას ორივე ქვეყნის პრეზიდენტები დაესწრნენ.

საქართველოში ალექსანდრე ლუკაშენკოს სახელმწიფო ვიზიტი დასრულდა

ვიზიტის დასასრულს საქართველოს და ბელარუსის რესპუბლიკის პრეზიდენტებმა მედიასთან შემაჯამებელი განცხადებები გააკეთეს.

ბელარუსის პრეზიდენტმა ქართველ კოლეგას გულთბილი მასპინძლობისათვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა და ქვეყნებს შორის ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ალექსანდრე ლუკაშენკომ აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება მუშაობა დიპლომატიური წარმომადგნელობის გახსნასთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს, სახელმწიფოთა შორისი ურთიერთობის გაღრმავებას.

საქართველოს პრეზიდენტმა თავის მხრივ მადლობა გადაუხადა ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ვიზიტისთვის და ქვეყნებს შორის თანამშრომლობაზე ისაუბრა:

„ჩვენ ვიმუშავეთ ბევრი მიმართულებით, მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია ის ეკონომიკური პროექტები, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ. ამ პროექტების უკან დგას ის ფაქტი, რომ ბელარუსი აღრმავებს თავის ურთიერთობას საბაჟო კავშირის მიმართულებით და საქართველო აღრმავებს თავის ეკონომიკურ კავშირებს ევროკავშირის

მიმართულებით. ამ ურთიერთობის უკან დგას ის ფაქტი, რომ ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენ არჩევანს და ამ არჩევანიდან ვცდილობთ მაქსიმალური შედეგი მოვუტანოთ ჩვენ ქვეყნებს.

გუშინ მე ხაზი გავუსვი, რომ ჩვენ სხვადასხვა ბლოკებში გაერთიანებას ვუყურებთ, როგორც შესაძლებლობებს და არა როგორც ბარიერების შემქმნელ ფენომენს. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ პრეზიდენტ ლუკაშენკოს სახით საქართველომ დაინახა ნამდვილი მეგობარი, რომელიც პატივს ცემს ქვეყანას, მის სახელმწიფოებრიობას, სუვერენიტეტს და ამ წინაპირობებზე დაყრდნობით ფიქრობს მაქსიმალური ურთერთობების გაღრმავებასა და საერთო მშვიდობიანი გარემოსთვის ერთობლივ მუშაობაზე.

ბელარუსის პრეზიდენტის როლი პოსტსა-ბჭოთა სივრცეში უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მინსკი გახდა ის, ადგილი სადაც ბევრი პროცესი თავის მშვიდობიან გამოსავალს პოვებს. პრეზიდენტ ლუკაშენკოს იცნობენ როგოროც ადამიანს, რომელმაც ძალიან ბევრი გაუკეთა ჩვენს მეზობლებს და მეგობრებს, ასეთ ადამიანთან მეგობრობა და პარტნიორიბა დარწმუნებული ვარ იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი, როგორც საქართველოსთვის ისე რეგიონისთვის და ბელარუსისთვის.“- განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ალექსანდრე ლუკაშენკოს საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სახელით სადილი გაიმართა.

ბელარუსის პრეზიდენტს მასპინძლებმა ქართული ტრადიციული სამზარეულო გააცნეს და ადგილობრივმა ანსაბლმა სტუმრებისთვის წარმოდგენა გამართა.

ღონისძიებას საქართველოს და ბელა-რუსის პრეზიდენტები, მათი დელეგაციის წარმომადგენლები და აჭარის მთავრობის წევრები დაესწრნენ.

24 აპრილს საქართველოში ალექსანდრე ლუკაშენკოს სახელმწიფო ვიზიტი დასრულდა.

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ანჟელა ბზიკაძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ირინე ბარამიძე	მხატვარ-დიზაინერი
ია გაჩეჩილაძე	კორექტორი

ჟიული შარტავა 1944 - 1993 წ.წ.

ეროვნული გმირი, წმინდა ბიოსების ოჯახის, ვახტანგ ბოსებასლის პირველი ხარისხის და სხვა ორდენების ჯავალერი, გენერალ-მაიორი

2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დაფუძნდა ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ჟიული, ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მობვიანებით, მან, აქვე დაიცვა დისერტაცია მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას, ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი, დაფუძნდა, ჯერ, ახალგაზრდული ჰორიზონტების მემფნაველი, ხოლო შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის მესნავლის, ფორმირების და ჰორიზონტების სამეცნიერო ცენტრები.
მისი აკტორობით, სახელმწიფო - მართველობით საქმიანობაში პირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. ,,სისანი", რომელმაც, მთლიანად შეცვალა ქვეყნის ეგზიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული ჰიაქტიკა.
ახალგაზრდობაზე ზრუნვა, ჟიულის სწორების ძირითადი მიზანი იყო. მისი უზარმაზარი ძალისხმევით, შავნაბადაზე, გაშენდა ,,ახალგაზრდული ქალაქი" დაფუძნდა ახალგაზრდა ჰოლიტიკოსთა თანამედროვე საასნავლებლები, სხვა სამეცნიერო და ჯელუარული ინფრასტრუქტურა, რომლის მაგვარი, მაშინ, მთელ ჰოსტაბჭოურ სივრცეში არ მოიძებნებოდა. მან, სწორებაში განახორციელა დიდი ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ოცნება და მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა ,,მზიერის" მშენებლობას, ხოლო, მობვიანებით, ჩასთავალ მოზარდებს ,,არქა" ენიკალური საბავშო ჩაინიბზა, რომლის გაშენება, მისი ტოტალური დევნის პირობებში, გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები ,,წითელ ხიდზე" და ,,რეზში", ქართველ - აფხაზთა და მთლიანად ჯავასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცნენ.
ჟიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა ,,ჯარი მმართველობის" შესანიშნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე ესაზღვრული შეყვარებული ვაჟკაცის გმირული ნაბიჯი. მისი მონაგონრობრივი სწორება, ღირსეულად შეაფასა მისმა უნმინდესობამ, სრულიად საქართველოს-ჯათოლიოს პატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც განასახად, რომ მან - ,,ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, შრომელეს ლრეში, ისწორეა ისე - თითქოს მთელ ტვირილს ღებულობდა საკუთარ თავზე".